ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #02/511

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიში #: 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „ლაინ დიზაინი"
დირექტორის ხათუნა კიკნაველიძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის გამზ.10
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 897 242
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ბანკი რესპუბლიკა"
ა/ა: GE22BR0000010355649407
(შემდგომში "მიმწოდებელი")

ხელშეკრულება გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

1.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- <u>**საგამოფენო სტენდის დამზადება და მიწოდება**</u>
- CPV კოდი: 39100000 - ავეჯი

1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი #1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. **ფასი და ანგარიშსწორება**

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს - **2 840,00 ლარს (ორი ათას რვაას ორმოცი და 00 თეთრი).**

2.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

2.4 დაფინსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.5 ანგარიშწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

3. **საქონლის მიწოდების პირობები**

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქონლის დამზადება და მიწოდება საკუთარი ხარჯებით;

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დეტალები, და დიზაინი წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველათან;

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ნივთი.

3.4 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - **18 (თვრამეტი) სამუშაო დღეში.**

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 საქონლის მიღებას აწარმოებს მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი - თეა სუხიშვილი.

4.2 საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის გამოწერით)

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს საქონლის ხარისხში.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი თეა სუხიშვილი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

9.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

9.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ.ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ლაინ დიზაინ“
გიორგი არსოშვილი	ხათუნა კიკნაველიძე

<u>დანართი N1</u>

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	39154100	**საგამოფენო სტენდი**	სამინისტროს ლოგოთი, ლურჯ ზოლებში ვერცხლისფერ ფონზე. გამჭვირვალე ჯიბეებით.	ცალი	2	1 420	**2 840**
							სულ ჯამი: 2 840 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულების შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ლაინ დიზაინი"

ნათუნა კიკნაველიძე

180.00 cm
175.00 cm
50.00
25.00
25.00
25.00
42.00
35
56
35
22
11
17.47 cm
5
5
40

-საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მიღება ჩაბარების აქტი №02/511-1

ქ.თბილისი 15 დეკემბერი 2011წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, -საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, მისი მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის თეა სუხიშვილის სახით და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი",

შპს „ლაინ დიზაინი"

(დაწესებულების დასახელება)

ხათუნა კიკნაველიძე

(ხელმძღვანელის დასახელება)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 24 ნოემბრის 02/511 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა"სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის, მოაწოდა 2840 (ორი ათას რვაას ორმოცი) ლარის ღირებულების საქონელი.(2 ცალი საგამოფენო სტენდი).

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2840 (ორი ათას რვაას ორმოცი) ლარი

(თანხა ციფრით და სიტყვიერათ)

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 2840 (ორი ათას რვაას ორმოცი) ლარი

(თანხა ციფრით და სიტყვიერათ)

ჩააბარა:

შპს „ლაინ დიზაინი" /ხ. კიკნაველიძე/

LINE DESIGN LTD • ᲚᲐᲘᲜ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ • LINE DESIGN 404897242

მიიღო:

მასმედიასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი: /თ.სუხიშვილი/

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 24/11/11

მიმწოდებელი: შპს "ლაინ დიზაინი"

ხელშეკრულების № 02/511

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი _____

ამირან ჯეგისაშვილი _____

ეკა ალიმბარაშვილი _____

ლევან მაღლაკელიძე _____

თეა სუხიშვილი _____

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ბრძანება №204

თბილისი

18. 11 2011 წ.

ზოგიერთი სახის მომსახურებისა და საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) გამართულად ფუნქციონირებასთან, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ" და „ყ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს:
ა) საწვავი (დიზელი) - 3400 ლარის ზღვრული ოდენობით;
ბ) საინფორმაციო ტიპის 2 დაფა (სტენდი) - 3000 ლარის ზღვრული ოდენობით;
გ) ტუმბოს ტიპის 2 მაგიდა - 300 ლარის ზღვრული ოდენობით;
დ) ქაღალდის გამანადგურებელი აპარატი (შრედერი) – 240 ლარის ზღვრული ოდენობით;
ე) მინისტრის ფაქსიმილეს დამზადება - 35 ლარის ზღვრული ოდენობით;
ვ) სამსახურებრივი სავიზიტო ბარათები - 480 ლარის ზღვრული ოდენობით;
ზ) სიგელები - 100 ლარის ზღვრული ოდენობით;
თ) უწყვეტი კვების წყარო - 250 ლარის ზღვრული ოდენობით;
ი) მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ავტომობილის 4 საბურავი 800 ლარის ზღვრული ოდენობით;

2. დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს (ა.ჯეგისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხათუნა კალმახელიძე

0177, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №42,
42 Kazbegi ave., Tbilisi, 0177, Georgia, www.mcla.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2312733, ფაქსი/Fax.: (+995 32) 2311901